№2621 2014 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 მაისის №908 განკარგულების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 660 120 ლარიდან დარჩენილი 117 218 ლარის ფარგლებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**